საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

28 ივნისი 2016წ

ქ. ბათუმი

ბრძანება № 01-08/34

„რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე („თერაპიული სტომატოლოგია", „ორთოპედიული სტომატოლოგია") და სუბსპეციალობის პროგრამაზე („პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია") მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის (№02/45850 15.06.2016წ.) წერილის, სარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელის ვ. ჩანტლაძის 2016 წლის 28 ივნისის №782315 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მისაღები კონკურსი რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) პროგრამებზე: „თერაპიული სტომატოლოგია" და „ორთოპედიული სტომატოლოგია", ასევე სუბსპეციალობის პროგრამაზე - „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია" მიღების მიზნით.

2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2016 წლის 29 ივნისიდან 04 ივლისის ჩათლით, 10სთ–დან 17სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა;

3. პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის სპეციალობაზე მისაღებ პირთა დადგენილი ოდენობის (კვოტის) ფარგლებში „თერაპიული სტომატოლოგია“ (კვოტა - 1). „ორთოპედიული სტომატოლოგია“ (კვოტა -1), „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ (კვოტა -1);

4. თუკი, სარეზიდენტო პროგრამის მაძიებელთა ოდენობა აღემატება კვოტით დადგენილ ოდენობას:
ა) უპირატესობა მიენიჭოს რეზიდენტურის ალტერნატიული პროგრამის მაძიებლებს; ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

ბ)დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამებზე კონკურსის შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ. #30).

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**